

წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღი:

---

წლიური ანგარიში შედგენილია 2002 სამეურნეო წლისათვის.

ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება:  
სააქციო საზოგადოება "თამარიონი"

ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი:

---

ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი, ტელეფონი და  
ფაქსის ნომრები:

საქართველო, ქ. თბილისი, გორგასლის 73

გამოშვებული და ბრუნვაში არსებული ფასიანი ქაღალდების შეფასება  
(სამეურნეო წლის დასასრულისთვის არსებული ღირებულების საფუძველზე):  
ს.ს. "თამარიონი"-ის მიერ გამოშვებულია 35171 (ოცდათხუთმეტი ათას  
ასსამოცდათერთმეტი) ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქცია. თითოეული  
აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ლარს.

ს/ს "თამარიონი"-ს მიერ გამოშვებული და ბრუნვაში არსებული ფასიანი  
ქაღალდების შეფასება (სამეურნეო წლის დასასრულისთვის არსებული  
ღირებულების საფუძველზე) წარმოადგენს: საზოგადოების აქტივებიდან 47397  
დაქვითული ვალდებულებების 9440 შეფარდებას გამოშვებული აქციების  
საერთო რაოდენობასთან 35171 და შეადგენს: 1.08.

მიეთითოს ხომ არ არის ეს საწარმოს პირველი წლიური ანგარიში:

წარმოდგენილი ანგარიში არ არის საწარმოს პირველი წლიური ანგარიში

## წლიური ანგარიშის შინაარსი

საკითხი I	საწარმოს საქმიანობა
საკითხი II	საწარმოს ქონება
საკითხი III	სასამართლო პროცესი
საკითხი IV	საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე
საკითხი V	საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა
საკითხი VI	შერჩეული ფინანსური ინფორმაცია
საკითხი VII	მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი
საკითხი VIII	საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი.
საკითხი IX	ფინანსური ანგარიშგებები
საკითხი X	საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა
საკითხი XI	მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები.
საკითხი XII	საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება
საკითხი XIII	პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ.
საკითხი XIV	დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები.
საკითხი XV	დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები
საკითხი XVI	ხელმოწერები

## პრეამბულა

### I. საწარმოს საქმიანობა

- 1.1. სააქციო საზოგადოება “თამარიონი” შექმნილია შპს “თამარიონი”-სა (რეგისტრირებული ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 15.12.1995წ. №06/4-154 დაგენილებით) და სს “კრწანისი 1”-ის (რეგისტრირებული ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 08.09.1999წ. №06/5-3 დაგენილებით) შერწყმის შედეგად და წარმოადგენს აღნიშნული საზოგადოებების სამართალმემკვიდრეს. სააქციო საზოგადოება “თამარიონი” საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, აგრეთვე უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სახის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- 1.2. სს “თამარიონი”-ის საქმიანობის პერიოდში, სხვა საწარმოსთან შერწყმა ან სხვა საწარმოს შექმნა: თვით საზოგადოების სხვა საწარმოსთან შერწყმა არ მომხდარა (შპს “თამარიონი”-სა და სს “კრწანისი 1”-ს შერწყმის თაობაზე აღნიშნულია ამ მუხლის 1.1 პუნქტში);
- 1.3. სს “თამარიონი”-ში ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წარმართული ნებისმიერი პროცესი არ წარმართულა;
- 1.4. სს “თამარიონი”-ში ცვლილებები საწარმოო ხაზებსა და მომსახურებაში არ მომხდარა. საქმიანობის ძირითადი საგანი საზოგადოების ობიექტით რესტორან “თამარიონი”-თ მოსახლეობის მომსახურებაა;
- 1.5. სს “თამარიონი”-ში აქტივების მნიშვნელოვან შექმნასა და გასხვისებას ადგილი არ ჰქონია;
- 1.6. სს “თამარიონი”-ი პროდუქციას არ აწარმოებს, შემოსავალი რესტორან “თამარიონი”-ს მომსახურებიდან განისაზღვრება;
- 1.7. სს “თამარიონი”-ი პროდუქციას არ აწარმოებს, ვინაიდან მომსახურების სფეროს განეკუთვნება;
- 1.8. სს “თამარიონი”-ზე პატენტის ან ლიცენზიის მონიჭებას ადგილი არ ჰქონია;
- 1.9. სს “თამარიონი”-ი პროდუქციას არ აწარმოებს, აქედან გამომდინარე არც საწარმოო ხარჯები გააჩნია;
- 1.10. სს “თამარიონი”-ის მიერ კვლევა-განვითარებაზე გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯები არ ხორციელდება;
- 1.11. თანამშრომელთა რაოდენობა:

წელი	2002
სიით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობა	8

- 1.12. ვინაიდან, სს “თამარიონი”-ში პროდუქცია არ იქმნება და შემოსავლის ერთადერთ წყაროს რესტორანი “თამარიონი” წარმოადგენს. საზოგადოების კონკურენტები არიან, იგივე სფეროში დასაქმებული ორგანიზაციები და ფირმები.

## II. საწარმოს ქონება

2.1 საწარმოს ძირითად ქონებას შეადგენს საწარმოს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობა.

2.2 2002 წლის 31 დეკემბრისათვის სს “თამარიონი“-ის ქონება შეადგენდა:

<b>აქტივები</b>	<b>2002წ</b>
<u>მიმდინარე აქტივები</u>	
ნაღდი ფული სალაროში	23
ფული საბანკო ანგარიშებზე	12
გადახდილი დღგ	76
<b>სულ მიმდინარე აქტივები:</b>	<b>111</b>
<u>სასაქონლო მატერიალური მარაგი</u>	
საქონელი	459
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5011
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>	
შენობა-ნაგებობები	32429
სხვა ძირითადი საშუალებები	9387
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები:</b>	<b>41816</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>47397</b>

## III. სასამართლო პროცესი

2002 წელს სს “თამარიონი“-ს არცერთ სასამართლო პროცესში არ მიუღია მონაწილეობა.

## IV. საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე

2002 წლის 19 თებერვალს სს “თამარიონი“-ში ჩატარდა აქციონერთა საერთო კრება

ესწრებოდნენ: ე. ცინცაძე, ჯ. ჯანელიძე, ზ. გვაზავა, ი. ქავთარაძე, ა. ქოიავა, ნ. ლომაძე და ლ. კუხალაშვილი.

კრებაზე წარმოდგენილი იყო ხმის უფლების მქონე საწესდებო კაპიტალის მფლობელთა 78.72%.

კრების თავმჯდომარე: ა. ქოიავა

საკითხები:

1. აქციათა რეესტრში ცვლილებების შეტანა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;

მოისმინეს:

ბატონ გვაზავას გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროდან გამოსყიდული იქნა საკონტროლო აქციათა პაკეტი და აქციონერები სრული მეპატრონეები გახდნენ გორგასლის 73-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა, სადაც ჩამოყალიბდა ერთი მთლიანი საწარმო – სააქციო საზოგადოება “თამარიონი”. მანვე აღნიშნა, რომ ყოფილი შპს-ს პარტნიორების წილები საწესდებო კაპიტალის მიხედვით დაიყო აქციებად და შეერწყა ს/ს “კრწანისი-1”-ს საწესდებო კაპიტალის დაყოფილის აქციებად, ამდენად, ახალი საწარმოს სააქციო საზოგადოება “თამარიონის” აქციონერთა რიცხვი გაიზარდა 3 კაცით; 1. მანანა ჩიქოვანი – 420 ცალი აქცია; 2. ნინო გვაზავა – 140 ცალი აქცია; 3. ეთერი ფირცხალავა – 140 ცალი აქცია. ასევე ყოფილი პარტიორების ჯ. ჯანელიძის, ე. ცინცაძის, ე. კუხალაშვილის და ალექსი ქოიავას კუთვნილი წილები აქციათა სახით უნდა დაემატოს მათ მიერ ქონების მართვის სამინისტროს 2001 წლის 26 ივლისს ბრძანებით მიღებულ აქციათა რაოდენობას და შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საზოგადოების აქციათა რეესტრში.

აზრი გამოთქვას:

ლ. კუხალაშვილმა, ა. ცინცაძემ, ჯ. ჯანელიძემ, რომელთაც მხარი დაუჭირეს ბატონ ზურაბ გვაზავას გამოთქმულ წინადადებას.

დაადგინეს:

დაევალოს საზოგადოება “თამარიონის: დირექტორს ბატონ ნ. ლომიძეს და ბუღალტერს ზ. ბოლოთ ევას, შეიტანონ ცვლილება სააქციო საზოგადოება “თამარიონის” აქციათა რეესტრში.

დღის მეორე საკითხზე მოისმინეს ბატონ ა. ცინცაძის მოხსენება, რომელმაც თქვა, რომ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს 3 წევრის ოდენობით. დასახელებული იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად მანანა ჩიქოვანი, ლევან კუხალაშვილი და ზურაბ გვაზავა.

აზრი გამოთქვას:

ბატონებმა ჯემალ ჯანელიძემ, ზურაბ გვაზავამ, ალექსი ქოიავამ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს წამოყენებულ კანდიდატურებს.

დაადგინეს:

ახლად შექმნილი სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს შემდეგი წევრებით:

1	მანანა ჩიქოვანი	–	დაბადებული 13.03.1953 წ, ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №142, პროფ. ფილოლოგი
2	ლევან კუხალეიშვილი	–	დაბადებული 26.04.1953 წ, ქ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, სან-ზონა, კორპ. 37, ბინა 33, პროფ. ინჟინერი
3	ზურაბ გვაზავა	–	დაბადებული 10.02.1956 წ, გეგეჩკორში, მცხ. ქ. თბილისი, დუდაშვილის მოედანი №3, პროფ. მეღვინე

სს “თამარიონი“-ის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

ჩატარების თარიღი: 2002 წლის 20 თებერვალი;

ესწრებოდნენ: მანანა ჩიქოვანი

ალექსი ქოიავა

ლევან კუხალეიშვილი

ნ. ლომაძე.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევა;
2. ს/ს “თამარიონის” დირექტორის არჩევა.

მოისმინეს:

ლევან კუხალეიშვილის განცხადება, რომელმაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაასახელა მანანა ჩიქოვანის კანდიდატურა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ალექსი ქოიავა.

დაადგინეს:

1. ს/ს “თამარიონის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულის იქნას მანანა ჩიქოვანი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ალექსი ქოიავა.

მოისმინეს:

ს/ს “თამარიონის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ალექსი ქოიავას განცხადება, რომელმაც წინადადება შემოიტანა საზოგადოების დირექტორად დაინიშნოს ნოდარ ლომაძე, დაბადებული 1927 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №42, ბინა №3. პროფესიით მეღვინე და მასვე მიენიჭოს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლება-მოსილება.

აზრი გამოთქეეს:

მანანა ჩიქოვანმა და ლევან კუხალეიშვილმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ალექსი ქოიავას წინადადებას.

დაადგინეს:

ს/ს “თამარიონის” დირექტორად დაინიშნოს ნ. ლომაძე, დაბადებული 05.04.1927 წ, მცხ. ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №42, ბინა 3. პროფესიით მეღვინე.

## ფინანსური ინფორმაცია

### V. საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა

1. სს “თამარიონი”-ს ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე;
2. 2002 წელს სს “თამარიონი”-ის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა არ მომხდარა.

### VI. შერჩეული ფინანსური ინფორმაცია

წლები	2002
წმინდა გაყიდვები ან საოპერაციო შემოსავლები	23977
მოგება (ზარალი) ოპერაციებიდან	(6761
მოგება (ზარალი) ოპერაციებიდან ჩვეულებრივ აქციაზე	(0.19)
აქტივების ჯამი	47397
გრძელვადიანი ვალდებულებები	—
ფულადი დივიდენდები ჩვეულებრივ აქციაზე	—

2002 წლის მანძილზე ბუღალტრულ აღრიცხვებში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, ისეთები როგორცაა შექმნები, შერწყმები, და განთავსებები.

VII. მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

- 7.1. სს “თამარიონი“-ის საქმიანობას მოსახლეობის საზღვრების ობიექტით მომსახურება წარმოადგენს;
- 7.2 სს “თამარიონი“-ის ერთადერთ შემოსავალს რესტორან “თამარიონი“-დან მიღებული თანხები წარმოადგენს;
- 7.3 2002 წელს სს “თამარიონი“-ის მმართველ ორგანოში განხორციელდა ცვლილებები, არჩეულ იქნა ახალი სამეთვალყურეო საბჭო და დაინიშნა ახალი დირექტორი:
- მანანა ჩიქოვანი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
  - ალექსი ქოიავა – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (მოადგილე);
  - ლევან კუხალაშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
  - ნოდარ ლომაძე – დირექტორი;
- 7.4 2002 წელს “თამარიონი“-ის თანამშრომლებთან გარდა ზემოაღნიშნულისა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა;
- 7.5 სს “თამარიონი“-ში საწარმოების დახურვას ადგილი არ ჰქონია;
- 7.6 რადგან “თამარიონი” პროდუქციას არ აწარმოებს, ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს ადგილი არ ჰქონიათ;
- 7.7 სს “თამარიონი“-ში 2002 წელს საწარმოო და სასამსახურო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენას ადგილი არ ჰქონია;
- 7.8 სს “თამარიონი“-ში არსებითი ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგში არ მომხდარა;
- 7.9 სს “თამარიონი“-ში ცვლილებას გრძელვადიან ვალდებულებებთან დაკავშირებით საქმე არ ჰქონია:

მიწოდ. და მომს. წარმ. ვალდებულებები	–	6029
ვალდებულებები მუშა-მოსამსახურეების წინაშე	–	8071
ვალდებულებები ბიუჯეტთან	–	1610
ვალდებულებები სოც უზრუნ. და სხვა ფონდებთან	–	5425
სხვა ვალდებულებები და პასივები	–	463
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	–	279
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>–</b>	<b>9440</b>

- 7.10 სს “თამარიონი“-ს მიერ ბანკებში საკრედიტო ხაზების მიღება ან გაუქმება არ მომხდარა;
- 7.11 სს “თამარიონი“-ს ქონებაზე ყადაღა არ დადებულია;
- 7.12 სს “თამარიონი“-ში აღნიშნულ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.



## VIII. საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი

2002 წელს სს “თამარიონი”-ს ფასიანი ქაღალდებით ინვესტირება არ მოუხდენია.

## IX. ფინანსური ანგარიშგებები

საწარმოს წარმოდგენილი აქვს კომისიის დადგენილებით მოთხოვნილი ფინანსური სატანდარტების შესაბამისად მომზადებული 2002 სამეურნეო წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

## X. საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა

1. 2001 წლის სს “თამარიონი”-ის საწარმოს ბალანსი შეამოწმა ინდივიდუალურმა აუდიტორმა გივი ლიპარტელიანმა.
2. 2002 წლის სს “თამარიონი”-ის საწარმოს ბალანსი შეამოწმა ინდივიდუალურმა აუდიტორმა მანანა ზარიძე.

აღნიშნული აუდიტორული ფირმის მიერ გაკეთებული დასკვნა მოცემულია დანართში.

**XI. მმართველი ორგანოს წევრები და სხვა  
მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები  
2002წელი**

№	სახელი, გვარი	დაბადების წელი	თანამდებობა, დაწყებისა და დასრულების კადები	თანამდებობაზე არჩევის საფუძველი	ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკავებული თანამდებობები	არის თუ არა სამეთვალ.-ო საბჭ.- ს წევრი იმავდროულად სხვა იურიდ. პირის სამეთვალ.-ო საბჭ.- ს წევრი	იყო თუ არა ბოლო 5 წ.-ის განმ.-ში ლიკვიდირებული იურიდ. პირის მმართ. ორგანოს წევრი	დაკისრებული ჰქონდა თუ არა ბოლო 5 წ.-ის განმ.-ში სისხლის სამართლის, ადმინისტრ.-ლი ან დისციპლინ.-ლი პასუხისმგ.-ბა
1.	მანანა ჩიქოვანი	1953წ.	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 17.02.2002წ.-დან	აქც.-თა კრ.-ის ოქმი 17.02.2002წ	სამეთ. საბჭოს თავმჯდომარე 17.02.2002 ფილოლოგი 28.07.1999წ.-დან 17.02.2002-მდე, დირექტორი	არა	არა	არა
2.	ალექსი ქოიავა	1946წ.	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (მოადგილე) 17.02.2002წ.-დან	აქც.-თა კრ.-ის ოქმი 17.02.2002წ.	სამეთ. საბჭ. წევრი (მოადგილე) 28.07.1999წ. სამეთ. საბჭ. თავმჯ. 17.02.2002წ. დღემდე დღემდე, ინჟ.-ტექნ.	არა	არა	არა
3.	ლევან კუხალაშვილი	1975წ.	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 17.02.2002წ.-დან	აქც.-თა კრ.-ის ოქმი 17.02.2002წ	სამეთ. საბჭ. წევრი 17.02.2002წ.-დან დღემდე, ინჟინერი	არა	არა	არა
4.	ნოდარ ლომაძე	1927წ.	დირექტორი 20.02.2002წ.-დან	სამეთვ.-ო საბჭ.-ს სხდომის ოქმი 20.02.2002წ.	დირექტორი 17.02.2002წ.-დან დღემდე, ინჟ. ტექნოლოგი	არა	არა	არა

XII. პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%  
ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ

№	ქალაქების კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და მესაკუთრებულობის სახე (აქცია 1 ლარი)	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქალაქების კლასის პროცენტულობა	შენიშვნა
1.	ჩვეულებრივი აქცია	ცინცაძე ელგუჯა	4801	14.517	
2.	ჩვეულებრივი აქცია	ჯანელიძე ჯემალი	4801	14.517	
3.	ჩვეულებრივი აქცია	ლომაძე ნოდარი	4801	14.517	
4.	ჩვეულებრივი აქცია	კუხალაშვილი ლევანი	4801	14.517	
5.	ჩვეულებრივი აქცია	ქოიავა ალექსი	2323	7.0243	
6.	ჩვეულებრივი აქცია	ქავთარაძე იუზა	2310	6.985	
7.	ჩვეულებრივი აქცია	გვაზავა ზურაბი	2255	6.8187	

მათ შორის  
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

№	ქალაქების კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრი სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და მესაკუთრებულობის სახე (აქცია 1 ლარი)	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქალაქების კლასის პროცენტულობა	შენიშვნა
1	ჩვეულებრივი აქცია	ქოიავა ალექსი	2323	7.0243	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
2	ჩვეულებრივი აქცია	კუხალაშვილი ლევანი	4801	14.517	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

XIII. საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება

2002 წელს სს “თამარიონი“-ს მმართველი ორგანოს წევრებს და ოთხ მაღალანაზღაურებად პირს ხელფასი და სხვა კომპენსაცია არ მიუღიათ.

#### XIV. დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები

ს/ს “თამარიონი“-ში ამ მუხლში აღნიშნული გარიგებები არ დაფიქსირებულია.

#### დანართები და ხელმოწერები

#### XV. დამადასტურებელი დანართები და მიმდინარე ანგარიშები

წლიურ ანგარიშს თან ახლავს ის მასალები და დოკუმენტაცია, რომელიც დანართის სახით არსებობს ამ მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. მიმდინარე ანგარიშები წარმოდგენილი არ არის.

#### XVI. ხელმოწერები

წლიურ ანგარიშზე ხელისმომწერი პირი,“ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში არსებითი ინფორმაციის გამოტოვებისა თუ არასწორად გადმოცემისათვის. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165<sup>5</sup> მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ყალბ ან შეცდომაში შემყვან ანგარიშზე ხელმოწერისათვის.

ს.ს. “თამარიონი“-ს სამეთვალყურეო  
საბჭოს თავმჯდომარე:

\_\_\_\_\_ /მ. ჩიქოვანი/

ს.ს. “თამარიონი“-ს სამეთვალყურეო  
საბჭოს წევრები:

\_\_\_\_\_ /ა. ქოიავა/

\_\_\_\_\_ /ლ. კუხალაშვილი/

დირექტორი:

\_\_\_\_\_ /ნ. ლომაძე/